საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

24 სექტემბერი 2025 წ.

KA000052079444625

№ **25/7638**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების შეურაცხყოფის გამო
პირთა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნობის თაობაზე

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო მიხეილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს ადამიანის უფლებების დაცვას ქვეყნის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში.[1] მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად სწავლობს გამოხატვის თავისუფლებით სრულფასოვნად სარგებლობის კუთხით არსებულ მდგომარეობას.

2025 წლის 3 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მომართა
რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით მისი მარწმუნებელი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^{16}-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის შეურაცხყოფა) ჩადენაში და შეეფარდა ჯარიმა 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, აპარატისთვის ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში, საერთო სასამართლოები დასახელებული მუხლის საფუძველზე არაერთ საქმეს განიხილავენ, რომლებიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების შეურაცხყოფის ფაქტებს უკავშირდება.[2]

საგულისხმოა, რომ ხსენებული მუხლი, რომელიც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განსაზღვრავს, მათ შორის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის სიტყვიერ შეურაცხყოფას, ლანძღვა-გინებას, მასზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას ან/და მის მიმართ სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს 2025 წლის 6 თებერვალს დაემატა. საქართველოს სახალხო დამცველმა მსგავსი ცვლილება უკანასკნელ საპარლამენტო ანგარიშში გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ასეთი უპირობო აკრძალვები ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლებაში მართლზომიერი ჩარევის სტანდარტს.[3]

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^{16}-ე მუხლის ანალიზისა და მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ამგვარი საქმეების განხილვისას, სასამართლოს უწევს, სათანადოდ შეაფასოს უფლების არაერთი ასპექტი, რომელთა შორისაა თანამდებობის პირების დასაშვები კრიტიკის ფარგლები, ისევე როგორც სადავო გამონათქვამის კონტექსტი და ფორმა. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი არაერთი საქმე, შესაძლოა, მომავალშიც გახდეს სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი და შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბება ამჟამად მიღებული გადაწყვეტილებებით ხდება, სათანადო უფლებრივი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობისთვის, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ზოგადი მოსაზრება. წინამდებარე სასამართლოს მეგობრის ზოგადი მოსაზრების მიზანს წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების დაცვის რელევანტური გარანტიების განხილვის გზით, გამოკვეთოს ის ძირითადი სამართლებრივი საკითხები, რაც სასამართლოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების შეურაცხყოფის გამო პირთა ადმინისტრაციული სანქცირების საქმეების სრულფასოვნად შეფასებაში დაეხმარება. აღნიშნული სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიემართება როგორც ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის, აგრეთვე ყველა იმ საქმეს, რომლის ფარგლებშიც, სასამართლოს მოუწევს მსგავს ფაქტობრივ გარემოებებზე მსჯელობა.

სასამართლოს მეგობრის ზოგადი მოსაზრება არ ემსახურება სასამართლო პროცესში მონაწილე რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს რელევანტური ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა სტანდარტების იდენტიფიცირებას.

1. ფაქტობრივი გარემოებები

წინამდებარე ქვეთავში განხილულია ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც სახალხო დამცველის აპარატის ინფორმირება მოხდა. რადგან წინამდებარე მომართვას აქვს ზოგადი ხასიათი და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი, კონკრეტული შემთხვევით, მსგავსი მონაცემების მითითება ასევე იძლევა შესაძლებლობას, გამოიკვეთოს ერთგვაროვან საქმეთა წრე, რომლებთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველი ახდენს სასამართლოსთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას:

მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^{16}-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ოქმში მიეთითა, რომ „ *მოქალაქე სოციალური ქსელის მეშვეობით შეურაცხყოფა მიაყენა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს*

„მტკიცებულებების დათვალიერების თაობაზე“ დათარიღებული ოქმის შესაბამისად, სამართალდარღვევად იქნა შეფასებული მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუკის“ პირად გვერდზე გამოქვეყნებული შემდეგი განცხადებები („პოსტები“):

თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[16]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში და სახდელის სახედ შეეფარდა ჯარიმა 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით;

სასამართლომ მიიჩნია, რომ *„ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ სოციალური ქსელის მეშვეობით განხორციელებული შეურაცხმყოფელი შინაარსის მიმართვები არ ემსახურება საჯარო ინტერესზე დაფუძნებულ კრიტიკას, არამედ უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს და მიზნად ისახავს კონკრეტულ პირთა შეურაცხყოფას, რაც ვერ იქნება დაცული გამოხატვის თავისუფლებით“*. დადგენილებაში არ არის მითითებული, თუ მიერ გავრცელებული კონკრეტულად რომელი ფრაზები ან სიტყვები შეფასდა კანონით აკრძალულ შეურაცხყოფად;

განმცხადებლის მითითებით, ხსენებული დადგენილება მხარეს ჩაბარდა და იგი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

2. გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო და მისი მართლზომიერი შეზღუდვის სტანდარტები, რომელთა საფუძველზე, მნიშვნელოვანია, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს გადაწყვეტილების მიღების დროს

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.[5]

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და რეგლამენტირებულია პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.[6] მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით[7] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.[8]

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება ვერბალური, წერილობითი თუ სხვადასხვა არავერბალური ექსპრესიების მეშვეობით, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის და საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტირების გზით.[9]

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.[10] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მითითებით, მსგავს საშუალებებს განეკუთვნება ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები.[11] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი ინტერნეტის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლების განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, მის განსაკუთრებულ როლს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის ზრდისა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიმართულებით.[12]

ნიშანდობლივია, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდეები“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის

მომგვრელია და აწუხებს საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.[13] შესაბამისად, შეურაცხმყოფელი ენა, როგორც გამოხატვის ფორმა, იმთავითვე არ ექცევა გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებს გარეთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სოციალურ ქსელში გავრცელებული სიტყვები, გამონათქვამები თუ განცხადებები, თუნდაც შეურაცხმყოფელი შინაარსის, *a priori* გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ექცევა. თუმცა, გამოხატვის თავისუფლება, მიუხედავად მისი ღირებულებისა, არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დასახელებული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.[14] უფლების შეზღუდვის მსგავსი წინაპირობები გაწერილია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა[15] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.[16]

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებაში ჩარევის კანონიერება მოწმდება შემდეგი სამ-საფეხურიანი სქემის შესაბამისად: 1. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევა ემსახურება ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის/ინტერესის დაცვას; და 3. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასეთი სტანდარტი ასახულია ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონში.[17]

მოცემულ შემთხვევაში, უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის მართლზომიერ საფუძველს იძლევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[16]-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, მასზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან/და მის მიმართ სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან საქმიანობასთან დაკავშირებით. ხსენებული ნორმა, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვნად ამცირებს ხელისუფლების წარმომადგენელთა კრიტიკის შესაძლებლობას და ამ თვალსაზრისით, ფართო და უპირობო, ბლანკეტურ აკრძალვებს აწესებს.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ნორმის აღსრულებისას, საყურადღებოა „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტების იერარქია, რომელიც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, უპირატეს იურიდიულ ძალას ანიჭებს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების, მათ შორის, საქართველოს ადმინისტარციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიმართ.[18] ამგვარი ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, კოდექსის განსახილველი ნორმა, მასში ჩამოყალიბებული აკრძალვის ფართო ფორმულირების გათვალისწინებით, განიმარტოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შუქზე და მის შესაბამისად, რათა არ მოხდეს სამართლებრივი საფუძვლის იმგვარი შეფარდება, რაც წინააღმდეგობაში მოვა უპირატესი ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან.

საგულისხმოა ისიც, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ნორმების გამოყენებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები ამ კონვენციის ნორმების ოფიციალურ განმარტებებად მიიჩნევა და აღნიშნული ნორმების გამომყენებელს შეუძლია ამ განმარტებებს დაეყრდნოს.[19] აღნიშნულის გათვალისწინებით და რამდენადაც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების შეურაცხყოფის გამო პირთა ადმინისტრაციული სანქცირების საქმეების გადაწყვეტისას, ყველაზე პრობლემურია უფლების შეზღუდვისთვის გამოყენებული ზომების „აუცილებლობა" (უფლებაში ჩარევის კანონიერების შეფასების ტესტის მესამე საფეხური), წინამდებარე მომართვაში წარმოგიდგენთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებს, რომლებიც კონკრეტულად ამ საკითხს უკავშირდება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „აუცილებლობის" ცნება პირდაპირ არის დაკავშირებული „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების" არსებობასთან. ამგვარი საჭიროების არსებობის შეფასებისას, სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული მიხედულების ფარგლებით, რაც არ არის შეუზღუდავი და მის საფუძველზე დაწესებული

ნებისმიერი შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან საკმაოდ მკაცრი ტესტით ფასდება.[20] შეზღუდვის "აუცილებლობის" დასადასტურებლად, მათ შორის, უნდა დადგინდეს, რამდენად აკმაყოფილებს მისი გამოყენება რელევანტურობისა და საფუძვლიანობის მოთხოვნებს.[21] სახელმწიფო მიხედულების ფარგლები სხვადასხვა ფაქტორზე არის დამოკიდებული, რომელთა შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადავო გამოხატვის ტიპი. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონვენცია შეზღუდვების დაწესების მეტად მცირე სივრცეს ტოვებს იმგვარ გამოხატვაზე, რომელიც პოლიტიკური შინაარსისაა, პოლიტიკოსებს მიემართება ან საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხს შეეხება.[22]

იმავე მიდგომას ეფუძნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის განმარტებითაც, პოლიტიკის სფეროში, მაშასადამე, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გავრცელება განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს.[23] სასამართლოს მითითებით, სწორედ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი ურთიერთგაცვლის მეშვეობით ხორციელდება თავისუფალი პოლიტიკური დებატები ხალხისა და პოლიტიკოსების ჩართულობით, რაც დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციის ქვაკუთხედს წარმოადგენს.[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საჯარო ინტერესს უკავშირებს მოვლენებს, რომლებსაც იმგვარი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე, რომ ლეგიტიმურად აღძრავენ მის ინტერესს, იპყრობენ მის ყურადღებას ან/ და ზემოქმედებენ მოსახლეობის ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე.[25]

რაც შეეხება სადავო გამოხატვისგან პოლიტიკოსების დაცულობის შედარებით დაბალ ხარისხს, აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ კერძო პირებისგან განსხვავებით, ისინი გარდაუვლად და შეგნებულად აყენებენ თითოეულ მათ სიტყვასა თუ ქმედებას საზოგადოების და ჟურნალისტების სამსჯავროს წინაშე, რის გამოც, ვალდებულნი არიან, აჩვენონ შემწყნარებლობის მაღალი ხარისხი კრიტიკის მიმართ,[26] როდესაც ეს არ წარმოადგენს კონტექსტისგან დაცლილ გადამეტებულ პირად თავდასხმას.[27] ასეთი შემწყნარებლობის გამოჩენის ვალდებულება კიდევ უფრო რელევანტურია, როდესაც პოლიტიკოსი თავად აკეთებს საჯარო განცხადებებს, რომლებიც შეიძლება კრიტიკის საგანი გახდეს.[28]

აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ ისეთ საქმეში დაადგინა დარღვევა, სადაც პირის სანქცირება პოლიტიკოსის მიმართ შეურაცხმყოფელი ხასიათის კრიტიკას მოჰყვა.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის გადაწყვეტილება საქმეზე Oberschlick v. Austria (N.2), შეეხებოდა ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ სტატიას სახელწოდებით „პ.ს. იდიოტი ნაცისტის ნაცვლად", რომელშიც საუბარი იყო მეორე მსოფლიო ომში მებრძოლი ჯარისკაცების თაობაზე „ავსტრიის თავისუფლების პარტიის" ლიდერისა და ერთ-ერთი ლანდის გუბერნატორის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე (მისი განცხადებით, ყველა ჯარისკაცი, მათ შორის, ისინიც, ვინც გერმანული არმიის რიგებში ირიცხებოდნენ, მშვიდობისა და თავისუფლებისთვის იბრძოდნენ და ამდენად, მათ ხალხი „კარგ" და „ცუდ" ჯარისკაცებად კი არ უნდა ყოფდნენ, არამედ მათი მადლიერები უნდა იყვნენ დღევანდელი კეთილდღეობის მქონე, დემოკრატიული საზოგადოების დაფუძნებისა და შენებისთვის).[29] მომჩივანი ზემოხსენებულ სტატიაში პოლიტიკოსის სიტყვას აკრიტიკებდა და მას „იდიოტს" ("Trottel") უწოდებდა. ვენის სისხლის სამართლის რაიონულმა სასამართლომ ჟურნალისტი დამნაშავედ სცნო დასახელებული პოლიტიკოსის შეურაცხყოფის გამო და ფულადი სანქცია განუსაზღვრა.[30] მოგვიანებით, ვენის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა, თუმცა შეამცირა დაკისრებული ჯარიმის ოდენობა.[31]

ამ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეროვნული სასამართლოების მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ სიტყვა „იდიოტის" გამოყენება სტატიის სათაურში და მის ტექსტში იმთავითვე შეურაცხმყოფელი იყო. ამის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ საქმე შეაფასა ერთიანობაში, მათ შორის, მოსარჩელის სტატიისა და იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც ის დაიწერა.[32] კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაკურებული ყურადღება გაამახვილა პოლიტიკოსის განცხადებაზე, რომელსაც სადავო სტატია შეეხებოდა და აღნიშნა, რომ მის ავტორს ცალსახად სურდა, ყოფილიყო პროვოკაციული და შედეგად, მძაფრი რეაქციები გამოეწვია.[33] რაც შეეხება სადავო სტატიას, განსაკუთრებით კი, სიტყვა „იდიოტს", სასამართლომ იგი არ მიიჩნია გადამეტებულ პირად თავდასხმად, რადგან მოსარჩელე წარმოადგენდა სადავო გამოხატვის გამოყენების ობიექტურად გასაგებ ახსნას, რაც პოლიტიკოსის პროვოკაციულ გამოსვლას ეფუძნებოდა.[34] სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ იდეებისა და ინფორმაციის შინაარსს, არამედ მათი გამოხატვის ფორმებსაც.[35] ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა.

მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უფლებადარღვევა დაადგინა 2013 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე Eon v. France, რომელიც შეეხებოდა პირის სანქცირებას პრეზიდენტის შეურაცხყოფისთვის. კერძოდ, პრეზიდენტის ვიზიტისას, მომჩივანს ეჭირა პლაკატი წარწერით „გაეთრიე, საცოდავო ****“ (“Casse toi pov’con”).[36] ეს იყო მინიშნება თავად პრეზიდენტის მიერ მანამდე ნათქვამ, ფართოდ გასაჯაროვებულ ფრაზაზე.[37] მომჩივანს ბრალი წაუყენეს პრეზიდენტის შეურაცხყოფისთვის და 30 (ოცდაათი) ევროთი დააჯარიმეს.[38] ამ შემთხვევაშიც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმე განიხილა ერთიანობაში, მათ შორის, სადავო შეურაცხმყოფელი გამონათქვამის ადრესატის, შინაარსის, ფორმისა და კონტექსტის გათვალისწინებით.[39] სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ თავად პრეზიდენტის მიერ გამოყენებული ფრაზის გამეორებით, რომელიც მანამდე ფართოდ გაშუქდა მედიის მიერ და საჯარო განხილვის საგანი გახდა უმეტესად იუმორისტულლი ტონით, მომჩივანმა არჩია კრიტიკის გამოხატვა სატირის მეშვეობით.[40] სასამართლოს მითითებით, სატირა წარმოადგენს შემოქმედებითი გამოხატვისა და სოციალური კომენტირების ფორმას, რომელიც გაზვიადებისა და რეალობის დამახინჯების განუყოფელი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ბუნებრივად ისახავს მიზნად პროვოკაციასა და გაღიზიანებას; შესაბამისად, არტისტის თუ სხვა ნებისმიერი პირის უფლებაში ჩარევა გამოიხატვის ამ ფორმის გამოყენების გამო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეფასდეს.[41] მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე მომჩივანის მიმართ გამოყენებული იყო მცირე ჯარიმა, გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი სანქციის დაკისრებას სადავო ქმედებისთვის, შესაძლოა, ჰქონოდა მსუსხავი ეფექტი სატირული ფორმის გამოხატვაზე.[42]

აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის გადაწყვეტილებაც საქმეზე Tuşalp v. Turkey, რომელშიც შეეხებოდა ჟურნალისტისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებას პრემიერ-მინისტრის მიმართ შეურაცხმყოფელი შეფასების გამოყენებისთვის. წინამდებარე საქმეშიც დადგინდა გამოხატვის თავისუფლების დარღვევა და საყურადღებო განმარტება გაკეთდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამების ფორმასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლოს მითითებით, შეურაცხმყოფელი ენა შეიძლება დარჩეს გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიღმა, როდესაც ის უსაფუძვლოა, მაგალითად, როდესაც სადავო განცხადების ერთადერთი მიზანი შეურაცხყოფის მიყენებაა.[43] თუმცა ვულგარული ფრაზების გამოყენება, თავისთავად არ არის გადამწყვეტი შეურაცხმყოფელი გამონათქვამების შეფასებაში, რადგან ის შეიძლება ემსახურებოდეს სტილისტურ მიზნებს.[44] თავის მხრივ, სტილი წარმოადგენს კომუნიკაციის ნაწილს, როგორც გამოხატვის ფორმას და დაცულია გამოხატვის შინაარსთან ერთად.[45]

იმავეს მოწმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2022 წელს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე *ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*. ამ საქმეში, „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ გამართული შეკრების მონაწილეები სამართალდამცავებმა ბანერებზე განთავსებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამის (მომჩივნის ბანერებზე განთავსებული იყო წარწერა: „პანორამა არა, ***“) გამო დააკავეს. შედეგად, უფლებადარღვევა სწორედ იმის გამო დადგინდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, მხოლოდ სადავო სლოგანის ფორმაზე კონცენტრირებით, მისი ვულგარული ბუნება ზედმეტად განაცალკევეს კონტექსტისა და მიზნისგან მაშინ, როდესაც ასეთი გამოხატვა სტილისტური ინსტრუმენტი იყო ქალაქში მიმდინარე სამშენებლო პროექტისადმი უკმაყოფილების ძალიან მაღალ ხარისხზე მისათითებლად.[46] ამ თვალსაზრისით, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას უფლების დარღვევა არაერთ ისეთ საქმეში დაუდგენია, რომელიც შეეხებოდა აშკარად ვულგარულ ან/და შეურაცხმყოფელ ენას ან/და ქცევას, მათ შორის, სექსუალური ხასიათის გამოხატვას, როდესაც მსგავსი პროვოკაციული ენა ხელს უწყობდა საჯარო ინტერესის თემებზე დებატებს.[47]

ამდენად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების შეურაცხყოფის გამო პირთა ადმინისტრაციული სანქცირების საქმეების განხილვისას, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, სასამართლომ განსაზღვროს, კონკრეტულად რომელი სიტყვები, გამონათქვამები თუ განცხადებები არის შეურაცხმყოფელი შინაარსის. ამის შემდეგ, უნდა შეფასდეს:

ა. სადავო გამოხატვის ადრესატის სტატუსი. მოცემული ელემენტის მხედველობაში მიღებით, საჭიროა, კერძო პირების კრიტიკა გაიმიჯნოს პოლიტიკოსების კრიტიკისგან, რომლებიც, საკუთარი სტატუსიდან გამომდინარე, დაცულობის ნაკლები ხარისხით სარგებლობენ;

ბ. რამდენად შეეხება სადავო გამოხატვა საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხს ან/და არის თუ არა იგი პოლიტიკური შინაარსის. როგორც ზემოხსენებული მსჯელობა მოწმობს, მსგავს საკითხებს, რომლებიც მომეტებული დაცულობით სარგებლობს, მიეკუთვნება პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში გაკეთებული შეფასებები;

გ. სადავო გამოხატვა წარმოადგენს კონტექსტისგან დაცლილ გადამეტებულ პირად თავდასხმას თუ ამის საწინააღმდეგოდ, იგი ადრესატის საქმიანობაზე ან მის მიერ მანამდე გაკეთებულ განცხადებებზე გამოხატული რეაქციაა;

დ. სადავო გამოხატვის ფორმა. კერძოდ, სადავო გამონათქვამები, მათი კონტექსტისა და მიზნის მხედველობაში მიღებით, ხომ არ წარმოადგენს სტილისტურ ინსტრუმენტს უკმაყოფილების მაღალი ხარისხის გამოსახატად;

ე. რამდენად არის გამოყენებული სანქცია, მისი ოდენობისა თუ სიმძიმის გათვალისწინებით, უფლებაში ჩარევისთვის აუცილებელი ზომა და ხომ არ აქვს მას მსუსხავი ეფექტი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაზე. ამ კუთხით, მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^{16}-ე მუხლის დარღვევის პირველი შემთხვევისთვისაც კი, გათვალისწინებულია მაღალი სანქციები (1 500 ლარიდან 4 000 ლარამდე)[48] და ხანგრძლივი ადმინისტრაციული პატიმრობა (45 დღემდე ვადით).

3. დასკვნა

ამდენად, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტით, მოგმართავთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების შეურაცხყოფის გამო პირთა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნობის მართლზომიერების შეფასებისას, მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნას ზემოთ განხილული პრინციპები და პრეცედენტები.

პატივისცემით,

---

[1] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2.

[2] *მაგ. იხ.* "რადიო თავისუფლების" 2025 წლის 17 ივნისის სტატია, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4nqHCyg > [16.09.2025].

[3] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 273-74, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4n8PJ31 > [16.09.2024].

[4] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *İ.A. v. Turkey*, პარ. 23.

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის № 1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, პ.26.

[6] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

[7] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10.

[8] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19.

[9] ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3cxa2Sr> [16.09.2025].

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის № 2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+", ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", II.პარ.56.

[11] ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12.

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ahmet Yildirim v. Turkey*, პარ. 48.

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. the United Kingdom*, პარ. 49

[14] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 5.

[15] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ან/და სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

[16] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია: a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

[17] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 8.

[18] „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 7.

[19] „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 7^1.

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Sekmadienis ltd. v. Lithuania*, პარ. 71; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary* პარ. 31.

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary* პარ. 31.

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ*, პარ.51.

[23] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 6 ივნისის № 1/2/1753 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II.5.

[24] *იქვე.*

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland*, პარ. 171.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Lingens v. Austria*, პარ. 42.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Oberschlick v. Austria (No2)*, პარ. 33;

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Mladina D.D. Ljubljana v. Slovenia*, პარ. 40.

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Oberschlick v. Austria (No. 2)*, პარ. 8-9.

[30] *იქვე*, პარ. 12.

[31] *იქვე*, პარ. 18.

[32] *იქვე*, პარ. 31.

[33] *იქვე.*

[34] *იქვე*, პარ. 33.

[35] *იქვე*, პარ. 34.

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Eon v. France*, პარ. 6.

[37] *იქვე*, პარ. 7.

[38] *იქვე*, პარ. 9.

[39] *იქვე*, პარ. 51-52.

[40] *იქვე*, პარ. 60.

[41] *იქვე.*

[42] *იქვე.*

[43] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Tuşalp v. Turkey*, პარ. 48.

[44] *იქვე.*

[45] *იქვე.*

[46] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარ. 45.

[47] *იქვე.*

[48] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2025 წლის მე-2 კვარტალში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2212.0 ლარია.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი